# უეფა–ს თასი

"ინტერნაციონალე" (მილანი, იტალია) – "დინამო" (თბილისი, სსრ კავშირი) 0:1.
მილანი. "სან–სირო" სტადიონი. 14 სექტემბერი.

"ინტერნაციონალე" ბორდონი, ბინი, კანუტი, ფედელი (ბარეზი), გასპარინი, ფაკეტი, სკანციანი (პავონე), ორიალი, ალტობელი, მორინი, მურარო.

"დინამო" გოგია, კოსტავა, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, გ. მაჩაიძე, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია (დარასელია).

მსაჯი ა. ვორერი (ავსტრია).

გაფრთხილებულია გუცაევი.

შეცდომა არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ევროპული საკლუბო ფეხბურთის ტურნირების I ტურში საბჭოთა გუნდებიდან ყველაზე უფრო ტიტულიანი, სახიფათო და ავტორიტეტული მეტოქე ჰყავდა თბილისის "დინამოს", მილანის "ინტერნაციონალეს" მიერ მოპოვებული მრავალრიცხოვანი უმაღლესი ჯილდოები თავისთავად მეტყველებენ კლუბის სიძლიერეზე.

და აი, 45 ათასი იტალიელი გულშემატკივარი გახდა იმის მოწმე, რომ თბილისის დინამოელებმა არა თუ რამე დაუთმეს მოწინააღმდეგეს, არამედ მისსავე მინდორზე დაამარცხეს იგი. და ეს არ მომხდარა რაიმე შემთხვევითობით – "დინამო" გამარჯვების ღირსი იყო ყოველმხრივ. იტალიელებმა სცადეს ტექნიკური უპირატესობით აეღოთ ხელთ თამაშის სადავეები, მაგრამ სულ მალე, პირველივე 15 წუთში გამოირკვა, რომ ასეთი უპირატესობა მათ  არ გააჩნდათ. თბილისელები არაფრით ჩამოუვარდებოდნენ "ინტერის" მოთამაშეებს ტექნიკით და რთულ სიტუაციებში შესანიშნავად გრძნობდნენ თავს. მეტიც, იყო შემთხვევები, როცა თბილისელთა მცველები თავისუფლად პოულობდნენ იერიშზე გადასვლის შესაძლებლობას, მაშინ როცა იტალიელთა მცველს კი არა, თავდამსხმელებსაც იშვიათად ეძლეოდათ საამისო შანსი. "დინამოს" მცველები სინქრონულად შეთანხმებით  მოქმედებდნენ, არ ყოფილა შემთხვევა, რომ მათ ყურადღებიდან გამოჰპარვოდათ მოწინააღმდეგის რაიმე  მანევრი. უკიდურესად დაძაბული იყო ბრძოლა შუა მინდორშიც ორივე გუნდის ნახევარდაცვის რგოლებს შორის. აქაც შესანიშნავად ითამაშეს დინამოელებმა, ხოლო თავდასხმაში ჩვენმა ფორვარდებმა  უფრო მეტი სახიფათო მომენტი შექმნეს, ვიდრე მასპინძლებმა.

"ინტერმა" ვერ შეძლო მაღალი ტემპის განვითარება და, პირიქით, როცა ეს საჭირო იყო, დინამოელები მოპირდაპირეზე გაცილებით სწრაფად მოქმედებდნენ. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ყიფიანი, კოსტავა და სხვანი. ერთ–ერთ მომენტში გუცაევს შეეძლო გაეხსნა ანგარიში ქორიძის გადაცემის შემდეგ, მაგრამ შესაძლებლობა არ იქნა გამოყენებული.

შესვენების შემდეგ თბილისელები უფრო ტექნიკურად და სწრაფად ამოქმედდნენ, მილანელები კი მათ სულ უფრო და უფრო ჩამორჩებოდნენ სწორედ ამ მხრივ. ერთადერთი, გადამწყვეტი გოლი გატანილ იქნა 77–ე წუთზე. ყიფიანს მიჩენილი ჰყავდა პერსონალური მეურვე ბინი. იტალიელი ძალას არ ზოგავდა რთული ამოცანის შესასრულებლად, ხშირად უხეშობასაც მიმართავდა და მიუხედავად ამისა, ყიფიანმა თავისი საქმე მაინც გააკეთა.

... ბურთი ჩაუვარდა გამობრძმედილ ფეხბურთელს, 35 წლის ფაკეტის. მან გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა, მაგრამ ეს შეცდომა შედეგი იყო ყიფიანთან წარმოებული ორთაბრძოლისა. იტალიელი შეეცადა მოეტყუებინა ყიფიანი, ამ უკანასკნელმა კი სწრაფად ჩაიგდო ბურთი, უკან მოიტოვა ფაკეტი და საჯარიმო მოედანზე შესულმა ძლიერად დაარტყა მარცხენა დაბალ კუთხეში. ბორდონი გადახტა, მაგრამ უკვე გვიანი იყო.

"ინტერნაციონალე" შეეცადა დარჩენილ დროში გამოესწორებინა მდგომარეობა, მაგრამ მისი იერიშები კვლავინდებურად ქრებოდა მოწინააღმდეგის ნახევარდაცვისა და დაცვის ზონებში. დინამოელებმა ბოლომდე სოლიდურად, დამაჯერებლად ითამაშეს, და დამსახურებულად გაიმარჯვეს.

**”ლელო” 17.09.1977 წ.**